(2008)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. რეზოლუცია 1631 (2008).
რუსეთის დელეგაციის დამტკიცებულ უფლებამოსილებათა არსებითი საფუძვლებით გადასინჯვა

1. 2008 წლის 12 სექტემბერს ასამბლეის 24 წევრმა ხელი მოაწერა წინადადებას რუსეთის დელეგაციის დამტკიცებულ უფლებამოსილებათა არსებითი საფუძვლებით გადასინჯვის თაობაზე რეზოლუციის მიღების შესახებ ასამბლეის რეგლამენტის მე-9 მუხლის შესაბამისად, და, კერძოდ, „წესდების პრეამბულაში გადმოცემული ფუძემდებლური პრინციპების სერიოზული დარღვევების“ საფუძველზე, რაც დაკავშირებულია „კონფლიქტთან სამხრეთ კავკასიაში, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება ევროპის საბჭოს ორი წევრი-სახელმწიფო“.

2. ასამბლეას მიაჩნია, რომ ამასწინანდელი ომი რუსეთსა და საქართველოს, ორგანიზაციის ორ წევრ-სახელმწიფოს, შორის, თავისთავად წარმოადგენს ევროპის საბჭოს წესდებისა და მათი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოების, ვალდებულებების უხეშ დარღვევას.

3. თუმცა, ამ ეტაპზე ასამბლეას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დიალოგის განვითარება და ურთიერთნდობის განმტკიცება ორ მხარეს შორის, აგრეთვე თითოეულ მხარესა და ჩვენს ასამბლეას შორის. იმისათვის, რომ ასეთი დიალოგი კონსტრუქციული და შინაარსიანი იყოს, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა შეასრულოს ევროპის საბჭოს შუამავლობით მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, გაიყვანოს თავისი ჯარები პოზიციებზე, რომლებზეც ისინი ომის დაწყებამდე იმყოფებოდნენ, აგრეთვე დაუშვას ევროპის საბჭოსა და ეუთოს დამკვირვებლების გაგზავნა.

4. ასამბლეამ განიხილა ეს საკითხი და ადგენს, დაადასტუროს რუსეთის დელეგაციის ადრე დამტკიცებული უფლებამოსილებანი, იმ გაგებით, რომ რეგლამენტის შესაბამისად მას შეეძლება ნებისმიერ მომენტში დაუბრუნდეს ამ საკითხს და რომ 9.1 მუხლის შესაბამისად წინადადების დაყენება ისევ შეიძლება.
2008 წლის 1 ოქტომბერი
(http://www.coe.int/T/r/Parliamentary_Assembly/)საკუთარითარგმანი)